**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025–2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის**

**ოქმი N1**

ქ. ამბროლაური 22.04.2024წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**დავით გოგლიძე –** მერის პირველი მოადგილე – თანათავმჯდომარე;

**თამარ ქევანაშვილი** - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ბეჟან კობახიძე –** საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;
**ნათია კობახიძე** - საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**მიხეილ დალაქიშვილი** - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ირმა ფრუიძე** - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვნელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**გიორგი გოძიაშვილი** - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ბელა აბაიშვილი** - შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ეკატერინე ლაშხი** - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**მანანა გოგობერიშვილი** - ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დასცვისა დამხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

**ირინა კერესელიძე** - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**მარინა ვაჩაძე** - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი;

**მარინე ჯაფარიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში.

**ირაკლი კობახიძე** - საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**

**ზვიადი მხეიძე -** მუნიციპალიტეტის მერი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
**კახაბერ ნეფარიძე -** ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვნელის მოადგილის დამატებითი ფუნქციის შემსრულებელი.
**ბაქარ ბაკურაძე -** სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
**ალეკო ქურციკიძე -** არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანილი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
**თენგიზ გელოვნიშვილი -** საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
**სიმონი ჭელიძე -** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
**ერეკლე დოხნაძე -** სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარემ და სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 01 მარტის ბ76.76240619 ბრძანება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" და ბრძანებით დამტკიცებული დანართები.**

დღის წესრიგი:

1. *ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიშის განხილვა.*
2. *ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 – 2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მდივნის არჩევა.*

**მოისმინეს:** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, ბეჟან კობახიძის, მოხსენება 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ; მან განიხილა მიმდინარე და გასული წლის პირველი კვარტლის შესრულების მაჩვენებლები; ისაუბრა საბიუჯეტო კალენდრის თითოეულ პერიოდში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ; სამუშაო ჯგუფს გააცნო მდგრადი განვითარების მიზნები - SDG (1. არა სიღარიბეს; 2. არა შიმშილს; 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4. ხარისხიანი განათლება; 5. გენდერული თანასწორობა; 6. სუფთა წყალი და სანიტარია; 7. ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია. მან აღნიშნა რომ საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიზნით მიზანშეწონილი იქნება მოხდეს მოქალაქეებიდან წინადადებების/იდეების მიღება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება განაცხადი, სადაც დაინტერესებული პირები დააფიქსირებენ ინიციატივას/იდეას მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ახალი პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ.

- მომდევნო წლებში რიგი გარემოებების გამო (ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობის ზრდა, აგრეთვე არსებული სერვისების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა) გაიზრდება ბიუჯეტში ხარჯების კუთხით გადასახადების ოდენობა, რის დასაბალანსებლადაც არ იქნება საკმარისი სახელმწიფოდან მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის ყოველწლიური ზრდა. საჭიროა გადახედილი იქნას სხვადასხვა მოსაკრებლების ოდენობა, საიჯარო ქირები, საპრივატიზაციო ნუსხას დაემატოს ახალი ობიექტები და შესაძლებლობის ფარგლებში მოძიებული იქნას ახალი მიმართულებები ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით.

ბეჟან კობახიძემ ასევე აღნიშნა რომ სამომავლოდ განსახორციელებელი პროგრამების დაგეგმვა უნდა მოხდეს გენდერულ ჭრილში. შესაბამისად მიზანშეწონილია გენდერის მიმართულებით მოწვეული იქნას სპეციალისტი, რომელიც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ჩაუტარებს საინფორმაციო შეხვედრას.

ბეჟან კობახიძემ გამოთქვა აზრი სამუშაო ჯგუფის მდივნად ნათია კობახიძის კანდიდატურის განხილვასთან დაკავშირებით.

დაადგინეს:

1. საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულება წარედგინოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს და მოხდეს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე გამოქვეყნება.
2. მიმდინარე წლის 10 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით მოხდეს მოქალაქეებიდან წინადადებების/იდეების მიღება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება განაცხადის ფორმა, სადაც დაინტერესებული პირები დააფიქსირებენ ინიციატივას/იდეას მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ახალი ღონისძიებების შესახებ.
3. არჩეულ იქნას ნათია კობახიძე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მდივნად.

მომხრე - 11; მოწინააღმდეგე - 0;

თანათავმჯდომარე: დავით გოგლიძე

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი: ბეჟან კობახიძე

მდივანი: ნათია კობახიძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: თამარ ქევანაშვილი

გიორგი გოძიაშვილი

მიხეილ დალაქიშვილი

ირმა ფრუიძე

ბელა აბაიშვილი

ეკატერინე ლაშხი

ირინა კერესელიძე

მანანა გოგობერიშვილი

საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო

განყოფილების პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: ირაკლი კობახიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

გენდერულ საკითხებში: მარინე ჯაფარიძე

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის

ხელმძღვანელის დროებითი

მოვალეობის შემსრულებელი: მარინა ვაჩაძე